ხელშეკრულება N68

ქ.ხაშური

5 ივლისი 2017 წელი

ერთი მხრივ **ხაშურის კულტურის და ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრების გაერთიანება** (შემდგომში შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის **გიორგი ბოლოკაძის** სახით, მეორე მხრივ **ააიპ „არტ გენი“ წარმოდგენილი მისი დირექტორის ნიკა ანჯაფარიძის სახით** (შემდგომში მიმწოდებელი), “სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარეის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებისა და შესყიდვების ეროვნული სააგენტოს თანხმობის N1897 საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის-ექსკლუზივის საშუალებით დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი
   1.1 ქართული ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების ფესტივალ „არტ გენის“ ჩატარება ორგანიზების მომსახურება, მომწოდებლის მიერ მოწოდებული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად CPV:79953000 (შემდგომში მომსახურება), მიწოდება, ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.
   1.2 ხარჯთაღრიცხვა

	მომსახურების დასახელება	რაოდენობა	ფასი (ლარებში)	თანხა (ლარებში)	დღგ (ლარებში)	სულ (ლარებში)	არტ გენი (ლარებში)	**ხაშურის კულტურის და ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრების გაერთიანება (ლარებში)**
1	გახმოვანების აპარატურის იჯარა	1	4000	4000	720	4720	1720	**3000**
2	განათების აპარატურის იჯარა	1	2000	2000	360	2360	360	**2000**
3	ხმის რეჟისორის ჰონორარი	2	350	700	126	826		**826**
4	საკონცერტო სცენის იჯარა	1	4000	4000	720	4720	3720	**1000**
5	სცენის მომსახურე პერსონალის ჰონორარი	5	250	1250	225	1475		**1475**
6	ტყის განათების და სცენის სპეციალისტების ხელფასები	3	250	750	135	885	400	**485**
7	არქივის სპეციალისტის ხელფასი	1	300	300	54	354		**354**
8	ჯგუფ არტ გენის ხელფასები (ორგანიზატორები)	5	400	2000	360	2360		**2360**
9	კვება-ღამისთევა	50	25	1250	225	1475	1475	
10	სატრანსპორტო ხარჯი	2	500	1000	180	1180	1180	
	სულ ხარჯი			17250	3105	20355	8855	**11500**

2. ხელშეკრულების ღირებულება

ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 11500.00 (თერთმეტიათას ხუთასი) ლარს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები
   3.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში, ორგანიზაციის სუბსიდიების მუხლიდან;
   3.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის/სააქონლო ზედნადების საფუძველზე, 10 სამუშაო დღის ვადაში.

4. მიღება-ჩაბარების წესი
   4.1 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ხაშურის კულტურის და ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრების გაერთიანების დირექტორი გიორგი ბოლოკაძე
   4.2 მომსახურება ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.მომსახურების ვადა და მიწოდების ადგილი
   5.1 მომსახურების მიწოდების ადგილია ხაშური
   5.2 მომსახურების მიწოდება განხორციელედება 2017 წლის 10 ივლისი;

6. მხარეთა უფლება-მოვალეობები:
   6.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება
   6.2 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში.
   6.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებიტ გათვალისწინებულ ვადებში.
   6.4 მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს მომსახურება იმ ვადაში რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 5.2 პუნქტში

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის
   7.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, შეუსრულებელი ვალდებულებების ღირებულების 0.02%ის ოდენობით
   7.2 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ხელშეკრულების შესრულებისაგან

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა
   8.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა შეთანხმების საფუძველზე
   8.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა, დაუშვებელია თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით
   8.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია, ხელშეკრულების ღირებულების 10%ზე მეტი ოდენობით

9. ფორს-მაჟორი
   მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობისთ გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის

ზეგავლენით, აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუსრულებლობის შესახებ

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი
ხელშეკრულების მოქმედების პერიოდშ წარმოშობილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით, შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა
ხელშეკრულება ვადაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2017 წლის 31 აგვისტომდე;

შემსყიდველი	მიმწოდებელი
ხაშურის კულტურის და ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრების გაერთიანება	ა.ა.ი.პ არტ გენი
ხაშური, რუსთაველის მე-2 ე შესახვევი	თბილისი, კოსტავას ქუჩა 58
საიდენტიფიკაციო კოდი 243918070 ბანკის კოდიTRESGE22 ა/ა GE24NB0330100200165022	საიდენტეიფიკაციო კოდი 204526450 ბანკის კოდი MIBGGE ა/აGE41PC0233600100008459
გაერთიანების დირექტორი გიორგი ბოლოკაძე	დირექტორი ნიკა ანჯაფარიძე